

იოსებმა ხალხი სიკვდილს გადაარჩინა

დაბადების 41—50-ე თავები

შეარჩეთ ისეთი სავარჯიშოები, რომელიც თქვენს შვილებს დაინტერესებს და გამოადგება. განიხილეთ ეს სავარჯიშოები ოჯახთან ერთად.



წაიკითხეთ დაბადების 41-ე თავი

შემდეგ წაიკითხეთ დასურათებული ბიბლიური ისტორია (ან ონლაინში ან ამობეჭდილი PDF ფორმატიდან) და განიხილეთ ამ ისტორიის ბოლოს დასმული კითხვები.


მითითება: დაეხმარეთ ბავშვებს, გაითამაშონ ეს ბიბლიური ისტორია და გააცოცხლონ თავიანთ გონებაში. მაგალითად, შეგიძლიათ გაახმოვანოთ, როგორ ზუზუნებს ქარი და როგორ ზმუიან ძროხები ფარაონის სიზმარში. აგრეთვე გაითამაშეთ, როგორ მიემართება იოსები მეფის საპატიო ეტლით.

სხვა ამოსაბეჭდი სავარჯიშოები



სურათები

ერთმანეთთან შეაერთა წარტილები. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დაბადების 41:42, 43. შემდეგ თქვენს პატარებს დაეხმარეთ, გამოიცნოს, რა სამი რამაა გამოტოვებული სურათზე, ერთმანეთთან შეაერთოს წერტილები და გააფერადოს სურათი.



სახალისო სავარჯიშოები

ვინ თქვა ეს? დაეხმარეთ ბავშვს, გამოიცნოს, ვინ თქვა ეს სიტყვები?



შეაბროვე და ისწავლე

ბიბლიური პერსონაჟის ბარათი. გაეცანით ზოგად მონაცემებს. დაუსვით ბავშვებს ბარათზე მოცემული კითხვები. გამოიყენეთ ეს და სხვა ბარათები, რათა დაეხმაროთ შვილებს, ამოიცნონ ბიბლიის პერსონაჟები, რომლებთანაც იაკობს ჰქონდა ურთიერთობა.